

ახალი თაობა



„ნეონაციზმი გაზაფხულის სეზონისთვის“: საქართველო უკვე ნაზოხი შესასვლელია



12 ივლისიდან

ბოლესლავ პრუსი


ფარაონი

ფასი

გაზეთთან

ერთად

14 ლარი



სამშაბათი, 12 ივლისი, 2016

№163 (7089)

ფასი: 50 თეთრი

გაია რეაქციული: „ალბათ მეს უნდა ჩავჯდა და ჩემი დას“



გვ.2

„წარმოდგენა არ მაქვს, სად იმყოფება გუკა“



პროკურატურამ გურამ რეაქციულზე კაბნა გამოასხადა



აფხაზეთში რეჟიმის რეაქცია

ხაჯიმა
ოპოზიციას
დაპატიმრებით
ემუქრება



გვ.7

პარლამენტში 27 მღუპარა დაუზღაბია



გვ.3



გვ.3

სიის მიღმა დარჩენილი ემოცნობები სკანდალური განცხადებებით იმუქრებიან

ბარუკი ქარდავა: „ოპოზიციის საარჩევნო აქტივობა ფინანსურ პრობლემასაც უკავშირდება“



გვ.4

არჩილ გამზარდია: „რეპოლუსიის წინაპირობები დღეს არ არის“



გვ.5

„მხოლოდ ნეგატივზე მუშაობა გუშინდელი დღეა“

რატომ დახოცეს ორი ახალგაზრდა და სკოლის დირექტორი



გვ.5

შსს-მ ვაჩიანის ოთხი ადამიანის მკვლელობაში ბრალდებული დააკავა



გვ.3



გვ.6

სირიაში კიდევ ერთი პანკისელი დაიღუპა

რომის პაპი მიხაილ მესისის სახელობის სტადიონზე ლიბურბიას აღავლენს



გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

საქართველოს საზღვრებთან ინსტაბილურობის თავდასხმები გახშირდა



ბარუკი ქარდავა: „ოპოზიციის საარჩევნო აქტივობა ფინანსურ პრობლემას უკავშირდება“

ნათია სურცილაძე

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბარუკი ქარდავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წინასწარჩვენო გარემოზე საუბრობს.

– ბატონო ბარუკი, მოქმედი კანონმდებლობით გინუთ გავსაზრდოვებთ, როგორია ოპოზიციის შანსები?

– დღევანდელ ხელისუფლებას, სამსახურად, არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება, რომ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე, კონკურენტულ გარემოში ჩაატაროს. თუ საპარლამენტო უმრავლესობა ვერ მოიპოვებდა ოპოზიციურმა ძალამ, აქ არ არის საუბარი მაინცდამაინც „ქართულ ოცნებაზე“ და ის შეეცდება, უმრავლესობა შექმნას მაჟორიტარების ხარჯზე, მაჟორიტარებზე ზეწოლით, მაშინ ჩვენ მივიღებთ პარლამენტის საზოგადოებრივი ნდობის გარეშე.

– რატომ თუ ეს მაჟორიტარების ხალხის მიერ იქნებინა არჩეული?

– პარტია იღებს ამომრჩევლის-

გან 40%-იან მხარდაჭერას, მაგრამ პარლამენტის 60%-ს აკომპლექტებს, ეს სამართლიანია?! აქ არის საზოგადოების ნდობა?! ეს არის ის ფორმულა, რომლითაც დღეს არჩევნები ტარდება, რომლის შეცვლის ძალისხმევა არ ეყო ჩვენს ხელისუფლებას.

მეორე პრობლემა უკავშირდება სარეკლამო დროს. მართალია, ეს საკითხი უშუალოდ არ ეხება იმ პარტიას, რომლის წარმომადგენელიც გახლავართ, არც სხვა ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ ეხება სამ-ოთხ ისეთ ოპოზიციურ პარტიას, რომლებიც პარლამენტში არიან წარმოდგენილები და რომელთაც უტიფრად მოექცნენ, მათ ჩამოაჭრეს დრო კოალიციაში არსებული ყოფილი პარტნიორების ხარჯზე, ეს მიუღებელი და დაუშვებელია ჩვენთვის.

თუ მსგავსი ტენდენცია გაგრძელდება, მაშინ უნდა ველოდოთ ისეთ მსგავს მოვლენებს, როგორიც იყო, მაგალითად, კორცელში. ან ისეთ არჩევნებს, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დროს ტარდებოდა ქვეყანაში და რა შედეგებიც ახლდა იმ ყველაფერს, თქვენს მკითხველს კარგად მოეხსენება.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ძალის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თუ ეს ყველაფერი არ გამოირიცხა, ჩვენ ძალიან რთულ საარჩევნო პროცესს მივიღებთ, რაც ნამდვილად არ მინდა.

დღეს ცესკოში უფრო მეტი წარმომადგენელი ჰყავს ხელისუფლებას, ვიდრე ეს ჰყავდა ყველაზე ხისტი და უხეში საარჩევნო მანქანის მქონე ნაციონალურ მოძრაობას. ესეც ოპოზიციური ძალებისთვის სრულიად მიუღებელია, ეს არ არის თანაბარი პირობები და გარემო, რომლისკენაც თითქოს მივიწრაფით.

– უკვე აღარ არის დრო, რომ ეს



ყველაფერი კანონშივე ჩასწორდეს?

– დრო ნამდვილად აღარ არის, რომ კანონში მოხდეს ცვლილებები, მაგრამ ნამდვილად არის იმის დრო, რომ ხელისუფლება, თუ ის საზოგადოების, ამომრჩევლის ნდობას არ მიიღებს, არ შეეცადოს ხელის გადაგრეხვის პრინციპით გამარჯვების მოპოვებას. ამ ვითარებაშიც კი არის შესაძლებელი, რომ საზოგადოების რეალური განწყობები იქნას პარლამენტში ასახული თუ ხელისუფლების მხრიდან არ იქნება ხელოვნური ჩარევები.

ეს მთლიანად დამოკიდებული იქნება ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე – ის იქნება ხისტი თუ იქნება რეალურად დემოკრატიის ერთგული, დემოკრატიის განმტკიცების მოსურნე.

– 8 ოქტომბრის არჩევნებს ლაკუშის ტესტი უკვე უწოდებენ, როგორ ხედავთ ამ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მნიშვნელობა დაფიქსირდა?

– რასაკვირველია, 8 ოქტომბრის არჩევნები მართლაც იქნება დიდი მნიშვნელობის არა მხოლოდ ქვეყნის გარეთ, არამედ ქვეყნის შიგნით.

– თქვენი მოლოდინები როგორია?

– შეიძლება ვილატას უტოპიად მოეჩვენოს, მაგრამ მე მაინც მაქვს მცირედენი იმედი. თუმცა, აქვე ვიტყვი, რეალურად ეს რომ ნდომოდ ხელისუფლებას, ამას კანონში ასახავდა. ვნახოთ, რა იქნება.

– როგორ ძალთა ბალანსს ელოდებით ახალ პარლამენტში? ექსპერტების ნაწილი არ გამოირიცხავს, რომ პრორუსული ძალები შეიძლება

ვიხილოთ ახალ პარლამენტში.

– პრორუსულ ძალებს საზოგადოების ნდობა არ გააჩნიათ, ამაზე საუბარი მე გადამეტებული მგონია. თუმცა, მე არ ვიცი, როგორი იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია, ამ სიის გამოქვეყნების შემდეგ ბევრი რამ ნათელი გახდება – ეს უფრო იქნება დასავლეთზე ორიენტირებული თუ ნაკლებად. ვნახოთ.


– პარტია ნინასარჩევნო კამპანიის აგვიტოვებთ. რას ელოდებით?

– ყველა პოლიტიკური ძალა თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორი ტიპის და სიმძლავრის საარჩევნო კამპანია ჩაატაროს, როდის შეიძლება აქტიური ფაზა და როდის – შედარებით მშვიდი. დღეს ყველა პოლიტიკური პარტია ცდილობს, რომ ძალიან ბოლო ფაზისთვის შეინახოს და ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. შეიძლება კონკრეტულად ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალები ასე აქტიურად არ ვჩანვართ ღია ეთერში, მაგრამ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ.

– და რაში გამოიხატება ეს?

– ვაგროვებთ ხელმოწერებს და ესეც არის საარჩევნო კამპანიის ნაწილი. 25 ათასი ხელმოწერის შეგროვება არ არის მარტივი საქმე, თუ პარტია ამას ხელიწყოფილად უდგება და რეალურ ხელმოწერებს შიგნით.

მუდმივად ერთ ფაზაში, ერთ დონეზე წინასწარჩევნო კამპანიის ჩატარება რთულია, მძლავრი ფინანსური შესაძლებლობებია საჭირო. ჩემთვის გაუგებარია „ოცნების“ პასიურობა მინიმუმ იმ დონეზე მაინც, რომ ცნობილი გახდეს მათი მაჟორიტარი კანდიდატების ვინაობა მაინც, საარჩევნო სიის შემადგენლობა. არა მგონია, ეს ფინანსურ პრობლემას უკავშირდებოდეს, ეს უფრო სხვა ტიპის პრობლემა მგონია.



მაია რჩულიაშვილი: „ალბათ მეს უნდა ჩაჯდა და ჩემი დას“

დახაწვისი მე-2 გვერდზე

ბას, მის მიმართ დაუსწრებლად გამოტანილი დადგენილება ბრალდებულად მასუხისბეგებაში მიცემის შესახებ. კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მის მიმართ გამოცხადდება ძებნა, – ითქვა ბრიფინგზე.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ შპს ცენტრ-პოინტის ჯგუფის ფილიალის, ცენტრ-პოინტი აჭარის დირექტორებს წარმოადგენდნენ: 2004 წლის 23 ივლისიდან 2006 წლის 28 ნოემბრამდე სალომე ჩარკვიანი, ხოლო 2006 წლის 28 ნოემბრიდან – ირაკლი მინდელი.

– დირექტორები დანაშაულებრივ კავშირში იყვნენ შპს ცენტრ-პოინტ ჯგუფის დამფუძნებელ პარტნიორთან მაია რჩულიაშვილთან და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გურამ რჩულიაშვილთან და მოქმედებდნენ მათი მითითებებით. შპს ცენტრ-პოინტი აჭარის ბათუმში სამი ობიექტის მშენებლობა უნდა განეხორციელებინა. კერძოდ კი, საცხოვრებელი სახლები უნდა აშენებულიყო პუშკინისა და ბაგრატიონის ქუჩებზე, ხოლო რუსთაველის ქუჩაზე – საცხოვრებელი კომპლექსი „თეთრი მაგნოლია“, – ნათქვამია განცხადებაში.

შპს ცენტრ-პოინტი ჯგუფის მიერ განეული სარეკლამო კამპანიით 2005 წლის 2 მაისიდან 2010 წლის 8 სექტემბრამდე მოქალაქეებისგან მოზიდულ იქნა ფულადი სახსრები 64.219.606 ლარის ოდენობით.

– მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანხები უნდა მიმართულიყო მშენებლობისთვის, 2004 წლის 23 ივლისიდან 2006 წლის 28 ნოემბრამდე პერიოდში სალომე ჩარკვიანმა სალომე მენაშენეთა მიერ შეტანილი თანხა, 3.756.017,41 ლარის ოდენობით არამიზნობრივად გაფლანგა და თანხა არ მოხმარდა კონკრეტული ობიექტის მშენებლობას, – მიიჩნევენ პროკურატურაში.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ფილიალის დირექტორად მინდელის დანიშნვის შემდეგ, მან 2006 წლის 28 ნოემბრიდან 2010 წლის ოქტომბრამდე არამიზნობრივად გაფლანგა შპს ცენტრ-პოინტი აჭარის მენაშენეთა მიერ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის შეტანილი თანხა 15.984.828,9 ლარის ოდენობით.

– ამდენად, ერთობლიობაში მაია რჩული-



აშვილმა, ირაკლი მინდელმა და სალომე ჩარკვიანმა ერთად გაფლანგეს მენაშენეთა კუთვნილი ფულადი თანხა, 19.740.845 ლარი. გარდა ამისა, ირაკლი მინდელი, გურამ რჩულიაშვილთან ერთად, 2009 წლის 7 ივლისიდან 2010 წლის 30 მარტამდე პერიოდში დაუფულა მენაშენეთა დიდი ოდენობით თანხას 1.657.959,39 ლარის ოდენობით, რაც მათ ერთობლივად მიითვისეს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შპს ცენტრ-პოინტი აჭარამ არ უზრუნველყო ობიექტების მშენებლობა პუშკინისა და ბაგრატიონის ქუჩაზე, არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები საცხოვრებელი კომპლექსის, „თეთრი მაგნოლიის“, მენაშენეთების მიმართ, რის გამოც მოქალაქეებმა განიცადეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

– მაია რჩულიაშვილის, ირაკლი მინდელის, სალომე ჩარკვიანის და გურამ რჩულიაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას შეიძლება თერთმეტ წლამდე ვადით ითვალისწინებს, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

– ამავე დროს, პროკურატურაში მიუთითებენ, რომ სასამართლომ მაია რჩულიაშვილის დაკავების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა,

რის გამოც მის მიმართ დაკავების გარეშე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

რჩულიაშვილის ადვოკატი მამუკა ჭაბაშვილი ამბობს, რომ პროკურატურის პოზიციას არ იზიარებს.

– გურამ რჩულიაშვილი პროკურატურაში არ მისულა, მასზე უკვე ძებნა გამოცხადებული. მან მართლა დატოვა ქვეყანა?

– მე გურამთან კონტაქტი არ მქონია, მისი მშობლებისგან რაც ვიცი, ისინი ეცადნენ, მაგრამ გურამს ვერ დაუკავშირდნენ.

– ოჯახი პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს, თქვენ თუ იზიარებთ მათ პოზიციას?

– კი ბატონო, არის რალაცა საფუძველი, რომ ეს ეჭვები გაჩნდეს. როდესაც გამოძიება მიდის, ქალბატონი მაია, ქალბატონი რუსუდანი არავის ემალებიან, ჩვეულებრივი პროცესი მიმდინარეობს, იზარებდნენ პროკურატურაში და დადიოდნენ. ახლა ასე უცებ მოვიდნენ დაკავების განჩინებით, ცოტა უცნაურია. დაიბარებდნენ და მივიდოდნენ, მათ ამის საფუძველი არ ჰქონდათ და თუ რატომ მოიქცნენ ასე, ეს ყოველივე ეჭვებს იწვევს.

– გურამ რჩულიაშვილი და ცენტრ-პოინტის მიერ დაზარალებულ მოქალაქეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

– ვასტანგ რჩულიაშვილი დაზარალებულებს განუმარტავდა, რომ მას მათი ვალი არ აქვს და სახელმწიფო არ აძლევს იმის საშუალებას, რომ მშენებლობები დაამთავროს. რჩულიაშვილის თქმით, ფინანსთა სამინისტროს მისთვის დასაბრუნებელი აქვს 20 მილიონი დოლარი, ხოლო იმ ადამიანებს, ვინც თბილისის პროკურატურას-



პროკურატურამ გურამ რჩულიაშვილზე ძებნა გამოაცხადა

თან არიან შეკრებილები, პირადად მისი ოჯახის 50 მილიონი მართებთ.

– ჩვენ მოვითხოვთ საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებას, რისი ფულიც უმრავლესობას ბოლომდე გვექვს გადახდილი. საუბარია სააკაძის მოედნის პირველ და მეორე ბლოკზე. მე არანაირად არ ვარ პროოკრატორი. არაფრის არაფრის ხელში ჩაგდებას სურვილი არ აქვს. თავად მაია რჩულიაშვილმა მოხოვა ინვესტიორის მოყვანა. მეც შევეცადე, რომ მომეძებნა ისეთი ადამიანი, ვისაც ასეთი კონტაქტები ჰქონდა, თუმცა, სამსუხაროდ, მოლაპარაკებები არ შედგა, – განაცხადა მალხაზ კრიხელიძე.

– გურამ რჩულიაშვილი და ცენტრ-პოინტის მიერ დაზარალებულ მოქალაქეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ვასტანგ რჩულიაშვილი დაზარალებულებს განუმარტავდა, რომ მას მათი ვალი არ აქვს და სახელმწიფო არ აძლევს იმის საშუალებას, რომ მშენებლობები დაამთავროს. რჩულიაშვილის თქმით, ფინანსთა სამინისტროს მისთვის დასაბრუნებელი აქვს 20 მილიონი დოლარი, ხოლო იმ ადამიანებს, ვინც თბილისის პროკურატურას-



შეფ-მზარეული ვეგეტარიანელებს ჩუმად ხორცს აჭმევდა



ბრიტანეთის ქალაქ დერბის ერთ-ერთი სასტუმროს შეფ-მზარეული მას შემდეგ დარჩა უმუშევარი, როდესაც სოციალურ ქსელში ალიარა, რომ სპეციალურად ურევდა კერძში ხორცს, რომლებიც ვეგეტარიანელებისთვის იყო განკუთვნილი და მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

ასეთი განცხადება 30 წლის ალექს ლამბერტმა სოციალური ქსელის ინსტაგრამის ერთ-ერთ მომხმარებელთან კამათის დროს გააკეთა. ამის შემდეგ დაწესებულება, რომელშიც ახალგაზრდა მამაკაცი მუშაობდა, საჩივრებით გაივსო.

სასტუმროს ხელმძღვანელობამ სამზარეულოში შემოწმება მოახდინა და თავდაპირველად მზარეულის მიმართ დისციპლინარულ სასჯელს დასჯერდა, მაგრამ მეორე დღეს მაინც გადაწყვიტეს შეფ-მზარეული სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ იმის მიუხედავად, რომ მის მიერ ვეგეტარიანელთა უფლებების დარღვევის პირდაპირი სამხილი არ გააჩნდა.

თავად ლამბერტმა მომხმარებლის შემდეგ სოციალურ ქსელებში ყველა თავისი აკაუნტი გააუქმა, ხოლო ერთ-ერთ გამომცემასთან საუბარში განაცხადა, რომ სინამდვილეში კანონსაწინააღმდეგო არაფერი გაუკეთებია და უბრალოდ განერვიულებულმა სისულელე წამოიროშა.

კენგურუ საყვარელ ზედამხედველს ვერ ელევა

ავსტრალიაში პატარა კენგურუ უარზეა გაუშვას თავისი საყვარელი ზედამხედველი. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგანიზაციის ფეისბუქში ნაკრძალის ვებ-გვერდზე იქნა განთავსებული, ნაკრძალი კი ალის-სპრინგში მდებარეობს. ვიდეორგოლის გამოქვეყნებიდან ორ დღეში ის თითქმის 300 ათასზე ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

ვიდეორგანიზაციის ჩანს, რომ ნაკრძალის თანამშრომელი ცდილობს მოშორდეს დაობლებულ კენგურუს ნაშიერს, სახელად პატარა იოჰანსენს. ცხოველი კი ამ დროს ძალას არ იშურებს იმისთვის, რომ „მისი საყვარელი ადამიანი“ მასთან დარჩეს. ზედამხედველი მას არწმუნებს, რომ დაბრუნდება და მაინც მიდის, მაგრამ კენგურუ უკან მისდევს.

პატარა იოჰანსენს არ უნდა რომ წავიდე, ამიტომ ცვდილობს, რომ რაც შეიძლება ხშირად მოვეხვიო, - აღნიშნა ნაკრძალის თანამშრომელმა.



პატარა ცხენირემი მებანძრებებს აღარ შორდება

აშშ-ში დაობლებული და ალერსიანი პატარა ცხენირემი მებანძრებებს აღარ შორდება და სულ მათთან ჩახუტებას ცდილობს. სახანძრო სამსახურის თანამშრომლები ტყის ხანძარს აქრობდნენ ვაშინგტონის კიტიტასის ოლქში. რაღაც მომენტში მათთან ცხენირემის ნაშიერი მივიდა, რომელსაც მებანძრებმა ბატონისა დაარქვეს.

სხვათა შორის, ის მანამდე ცნობილი იყო, ვინაიდან ერთ-ერთ ფერდობზე ძროხებთან და თხებთან ერთად ცხოვრობდა.

ცხენირემი მებანძრებებს ესუტებოდა და ოლქის სახანძრო სამსახურის პრეს-მდივანმა რეიჩელ რისდონმა ეს მოვლენა ფოტოსურათებზე ასახა. რისდონმა იმედი გამოთქვა, რომ ინტერნეტ-მომხმარებლების ყურადღების წყალობით მონადირეები ბატონს ხელს არ ახლებენ.

90 წლის ქალის სტრიპტიზმა შოუ და ინტერნეტი დაიპყრო

90 წლის ამერიკელი ქალმა დოროთი უილიამსმა შოუს ნიჭიერის ჟიური და მაყურებლები მოხიბლა, ისევე, როგორც ინტერნეტ-მომხმარებლები. მისი გამოსვლის ვიდეორგანიზაციის იუთუბზე იქნა გამოქვეყნებული და ამ მომენტისთვის მან უკვე მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

როგორც ვიდეორგოლისთვის გაკეთებულ კომენტარშია მითითებული, უილიამსმა დაამტკიცა, რომ ოცნების ასრულება არასოდესა გვიან.

ერთ-ერთი ამერიკული გამოცემის კომენტარში კი წერია, რომ ხანდაზმული ქვრივის გამოსვლამ შოუში ჩააგდო და მოხიბლა ჟიურის წევრები და შემდეგ ეტაპზე გადასვლაში დაეხმარა.

ამ საღამოს დაიბადა ახალი ვარსკვლავი, - განაცხადა პროგრამის წამყვანმა ნიკ კენონმა.



მომაზნადა კახა ხატიაშვილი

ასტრონომიონი 12 ივლისისთვის

პარკი - დღის პირველ ნახევარში ფინანსური კუთხით სიძნელეები შეგზვდება. ასევე, მოსალოდნელია უთანხმოება კოლეგებთან. ერთდროულად საუბრებს. კარგი - განწყობა გიუმჯობესდება. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. პირად ცხოვრებაში მცირედი იმედგაცრუება გელით. გაუთავი - გეგმების რეალიზაციაში დაბრკოლება შეგზვდება. წარმატებას მხოლოდ ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მიაღწევთ. კარგი - ახალი იდეები მატერიალურად და მორალურად დაგაკმაყოფილებთ. შესაფერისი დღეა ხელშეკრულებებისა და საქმიანი გარიგებების გასაფორმებლად. ღრუბ - ვარსკვლავები არ გწყალობენ. სანამ რამეს მოიმიტმედედეთ, მოსალოდნელ შედეგებზე დაფიქრდით. კონფლიქტის არიდებას დიდსულოვნების მეშვეობით მოახერხებთ. ქაღალდი - ცრუ ინფორმაცია ფინანსურად დაგაზარალებს. მიენდეთ ინტუიციას. ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. სასწრაფო - საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. ასაკოვან ადამიანებს ქრონიკული დაავადებები გაუმწვავდება. რაინაპალი - შემოქმედებითად აქტიური და დატვირთული დღეა. ბავშვების მიმართ სიმკაცრის გამოჩენა რეკომენდებული არ არის. მკვიდრული - ბიზნესის სფეროში პერსპექტიულ წინადადებას შემოგთავაზებენ. მოულოდნელი შეხვედრის გამო შესაძლოა გეგმები შეგცვალოთ. თხის რკა - კრიტიკული დღეა. არაკეთილსინდისიერი ადამიანების ჩარევამ შესაძლოა მატერიალური დანაკარგები გამოიწვიოს. მარცხალი - სიყვარულისა და შემოქმედებითი იდეების განხორციელების თვალსაზრისით კარგი პერიოდია. ძველ პრობლემებს არასტანდარტული გზით მოაგვარებთ. თაყვანი - იოლად ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა დღეს გაუმართლებელია. გისუხეობს ბუნეიხ დღეს!



კოსმოხიბ

შვეულად: 1. ტექსტიდან სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ნაწყვეტი; 2. კერძო მენარმე სოფლად; 3. პირველი მაჯის საათის შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 4. მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის იტალიური ენციკლოპედია; 8. იტალიელი მომღერალი, კონომსახიობი მამაკაცი; 9. სითხის ან აირის წნევის გასაზომი ხელსაწყო; 11. პატარა თევზსაჭერი გემი; 12. რევაზ ლალიძის ოპერა; 14. მდინარე ფლორენციაში; 16. მკვლევლობათა საქმეების გამოძიებელი აშშ-ში; 17. მოკლებნივანი მონადირე ძაღლის ჯიში; 19. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა. თარაზულად: 5. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 6. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 7. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 10. პოლანდის ფეხბურთელი ატენდო; 13. ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ერთ-ერთი ცენტრი სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკაში; 15. უმოტორო თვითმფრინავი; 18. ქართველი მსახიობი მამაკაცი, ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 20. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 22. აჭარული ცეკვა; 23. მესობრული ჯიშის ქათამი; 24. კოსმოდრომი იაპონიაში.

Crossword puzzle grid with numbers 1-24 indicating starting points for words.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოსმოხიბების პასუხები:

პროსპორდის პასუხები: თარაზულად: 5. ბაირონი; 6. ლავსანი; 7. კომპასი; 10. კერატი; 12. ილივე; 13. სანსკრიტი; 18. არაგვი; 19. ალესკო; 20. კიბალი; 21. ადენომა; 22. ოტიატრი. შვეულად: 1. კარამელი; 2. ანიონი; 3. კარსტი; 4. ინტერვიუ; 8. ლანდლაგი; 9. მისტიკოსი; 11. მარკიზა; 14. გირლანდა; 15. რეკეტირი; 16. თილისმა; 17. ჰამლეტი. სახმორდის პასუხები: 1. ომარ; 2. ანრი; 3. კაა; 4. ამია; 5. უსიერი; 6. იონი; 7. მესა; 8. ტლი; 9. ხარი; 10. სერ; 11. ალიე; 12. ომეგა; 13. ტურა; 14. აკაცია; 15. პოია; 16. მედალონი; 17. კომპასი; 18. ამეზა; 19. კრიზისი; 20. არენა; 21. კვირტი; 22. ბერმუზა; 23. სცენა; 24. ნაირა; 25. ბალი; 26. რეა; 27. რა; 28. მირაჟი; 29. რას; 30. იარა; 31. ათინატი. სურათებზე: გრესია კოლმენარესი; როი მაკაი.

შეადგინა თ.კობალევი შვილმა



კამეზა

სამშაბათი 12 ივლისი

ფესტივალი „თეატრალური იმპრია 2016“ რეჟისორები დაჯილდოვდა

ფესტივალი „თეატრალური იმპრია 2016“ დასრულდა. დაჯილდოების ცერემონია ქუთაისის მესხივილის თეატრში გაიმართა. პრიზები 12 ნომინაციაში გაიცა.

ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად ჭიათურის მუნიციპალიტეტის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლი „გეტო“ დასახელდა. საუკეთესო რეჟისორის ნოდება კი გიორგი სიხარულიძეს მიენიჭა.

ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ჯილდო მსახიობმა სოფიო ჩირაძემ მიიღო. მსახიობმა დედის როლი ხონის სახალხო თეატრის სპექტაკლში „ნატალი“ განასახიერა.

მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ჯილდო ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის მსახიობმა გიორგი გლოველმა მიიღო.

ფესტივალზე სამი პრიზი აიღო ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო



ფო დრამატულმა თეატრმა. თეატრმა ფესტივალის ფარგლებში სპექტაკლი „ისებზე ნადირობა“ ითამაშა და გაიმარჯვა სამ ნომინაციაში: მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის, მთავარი პრიზი გადაეცა გიორგი გლოველს, ქალის სახასიათო როლის შესრულებისთვის პრიზი გადაეცა ნინო აბესაძეს, ხოლო ნომინაციაში სცენის მშენებელმა გაიმარჯვა ნანა ცხვირაშვილმა.

ქართული ფილმი კარლოვი ვარის კინოფესტივალის გამარჯვებულია

რუსუდან გლურჯიძის ფილმი „სხვისი სახლი“ კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია. ფიურის ერთ-ერთი წევრი ქართველი რეჟისორი, გიორგი ოვაშვილი იყო.

„სხვისი სახლი“ საქართველოს, რუსეთის, საფრანგეთის და ხორვატიის კოპროდუქციაა. მასში მთავარ როლებს ასრულებენ ზურა მალალაშვილი, სალომე დემურია, ია სუხიტაშვილი, ევატერინე ჯაფარიძე, ოლგა დიხოვიჩინა და საბინა ახმედოვა.

ფილმი ხანმოკლე, მაგრამ გამანადგურებელი ომში ფიზიკურად გადარჩენილი ორი ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. ისინი იკავებენ ნაჩქარევად გამოთავისუფლებულ სახლებს, მაგრამ მშვიდობიან გარემოში ახალი ცხოვრების დაწყება არ შეუძლიათ. ომი ყოველდღიურ ცხოვრებაში გრძელდება.

„სხვისი სახლი“ ეროვნულ-



კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალი 9 ივლისს საზეიმოდ დაიხურა. იგი ცენტრალური და ალმოსავლეთ ევროპის წამყვანი კინოფესტივალის, რომელიც 1946 წლიდან ტარდება.

გიორგი მარგველაშვილი ბაბუა გახდა




საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბაბუა გახდა. მის შვილს ანა მარგველაშვილს გოგონა შეეძინა. პატარა ჩაჩავას კლინიკაში 3,500 დიბადა. ანა მარგველაშვილი ნუკრის კინტარია ამშობიარა.

ინფორმაცია გიორგი მარგველაშვილის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გავრცელდა: - ერთი საათის წინ შემიძინა შვილიშვილი! უზომოდ ბედნიერი ვარ! ჩემს პატარა გოგონას ვუსურვებ ჯანმრთელობას და ერთიან საქართველოში ცხოვრებას!

ანა მარგველაშვილისთვის და მისი მეუღლისთვის გიგი ჩიჩუასთვის ეს პირველი შვილია. ახალბედა მშობლები უამრავ მილოცვას და საუკეთესო სურვილებს იღებენ.

თამაზ ვაშაქია: „თხოვნას შეწყალაბის შესახებ არ შევიტან!“



ქართველი ქორეოგრაფი, ვახტანგ ჭაბუკიანის მოსწავლე თამაზ ვაშაქიძე 10 წელია საქართველოდან იძულებით არის წასული. ის დღემდე ტენაში იმყოფება, პოლიტიკური თავშესაფარიც აქვს და ლტოლვილის სტატუსიც, მაგრამ საქართველოს მოქალაქედ რჩება. თამაზ ვაშაქიძე: - 2005 წლიდან, მას შემდეგ, რაც რეჟიმის მიერ განხორციელდა ჩემი რეპრესირება, ვიმყოფები ტენაში. მაქვს პოლიტიკური თავშესაფარი და ლტოლვილის სტატუსი. მიუხედავად ამისა, მე ვრჩები საქართველოს მოქალაქედ. საქართველოს მოქალაქეები არიან ასევე ჩემი მეუღლე და მამის მზრუნველობისა და ყურადღების გარეშე დარჩენილი ჩემი სამი არასრულწლოვანი ბავშვი. 4 წელია, რაც მე და ჩემი ოჯახი ამოდ ველით პასუხს სახელმწიფო უწყებების მხრიდან ჩვენს ათეულობით წერილსა თუ მიმართვაზე. მიუხედავად ყველაფრისა, მე თხოვნას შეწყალაბის შესახებ არ შევიტან!

სამგლოვიარო განცხადებები

ლენა მზარაძის ხსოვნას!
ჩემო საყვარელო, სპეტაკო, კეთილშობილო, ჰუმანური და დედა, ექვსი წელი გავიდა, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლე პეტრე-პავლობის ბრწყინვალე დღესასწაულზე!
ნათელში იყავი მუდამ - მშობლებთან ნადია და ბათუსთან, ძმისშვილთან მერაბუკასთან, მეუღლესთან შურასთან, რძლებთან ლალასთან და ნინასთან, მულებთან ნანასთან და კატასთან, მშობლებთან ერთად!
მსუბუქი ყოფილიყოს თქვენი სულებისთვის მშობლიური მიწა!
მიყვარხარ და მენატრები!
შვილი კუსუნა, ძმისშვილი გონა მზარაძე

სიხინო ვასილის ასული ხარაიშვილი-გოგალაქის
გარდაცვალებას.
გამოსვენება: ბინიდან, გმირ კურსანტა ქუჩა №3.
დაკრძალვა: 12 ივლისს, სურამში.

სიხინო ვასილის ასული ხარაიშვილი-გოგალაქის
გარდაცვალებას და თანაუგრძობენ ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარეშე, 12-დან 17 საათამდე.

გრასიანო პელე კარიერას რინეთში გააგრძელებს

საუთპემპტონის იტალიელი ფორვარდო გრასიანო პელე ჩინურ გუნდ შენდო ლუნენგში გადავიდა. ამის შესახებ ინფორმაცია თვითონ ფეხბურთელმა დაადასტურა.



პელეს ძალიან მაღალი ანაზღაურება შესთავაზეს ჩინეთში, რაზეც მან უარი არ თქვა. ევროპის ჩემპიონატზე გრასიანო პელე იტალიის ნაკრებში გამორჩეული ფეხბურთელი იყო და მან ორი გოლის გატანაც მოახერხა.

ჩინეთში გადასვლასთან დაკავშირებით გრასიანომ თქვა, რომ მისთვის ეს გამონეგავა და ის ბედნიერია, რომ მას ახალ ქვეყანაში თამაშის საშუალება მიეცა.

ლუკას სილვამ კარიერა ნადრავად დაასრულა



მადრიდის რეალის ყოფილმა ფეხბურთელმა ლუკას სილვამ, რომელიც ბოლო პერიოდში მარსელის ოლიმპიკის ღირსებას იცავდა, კარიერა დაასრულა. ამის მიზეზი გულთან დაკავშირებული პრობლემებია. ექიმებმა სილვა მკაცრად გააფრთხილეს, რომ კარიერის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლოა მის სიცოცხლეს საფრთხე დამუქრებოდა. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ექიმების რჩევა გაითვალისწინა და 23 წლის ასაკში რეზერტის დაემშვიდობა.

ლუკას სილვა ბრაზილიური კრუზეიროდან მადრიდის რეალში 2015 წელს გადავიდა, თუმცა სამეფო გუნდში თავი ვერ დაიმკვიდრა, რის შემდეგაც მან საფრანგეთს მიაშურა.

